ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №148

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ ***ს.ს. „აკურა“-სა*** (შემდგომში „შემსყიდველი“)
მდებარე ქ. თელავის რ-ნი სოფ. აკურა
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ ***შ.პ.ს. „ტემპი +”-ს*** (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.
მდებარე გურჯაანი სოფ. ვაჩნაძიანი
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი (SMP190003131)

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ს.ს. „**აკურა**“-ს მიერ **შ.პ.ს. „ტემპი +”**-ს კუთვნილი მანქანა-დანადგარების საშუალებით (მათ შორის ყურძნის გადასამუშავებლად საჭირო მანქნა-დანადგარები, რეზერვუარები, ტუმბოები, რეზინის მილები და სხვა საჭირო ინვენტარი) ყურძნის გადამუშავების (CPV კოდი **98300000**) მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების საფუძველი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 აგვისტოს განკარგულება №1836);

4. ხელშეკრულების ღირებულება

1. მომსახურების ღირებულება შეადგენს ევროპული წესით გადამუშავების შემთხვევაში ყოველ 1 კგ. გადამუშავებულ ყურძენზე 0,08 ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2. ხელშეკრულების საერთო საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **80 000 (ოთხმოცი ათასი)** ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით.
3. მომსახურების ღირებულება მოიცავს ელ. ენერგიის, წყლის, საკომუნიკაციო, მომსახურეობისთვის აღებული ქონების საექსპლოატაციო თანხას, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასებს და ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული ღვინომასალების შენახვას 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4. თანხის გადახდა წარმოებს ეტაპობრივად ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით.
5. გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა დადასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული შედარების აქტით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ღირებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.
2. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული მომსახურება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2019 წლის 15 სექტემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ს.ს. „**აკურა**“-ს საფინანსო სამსახური.

7. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
2. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი შედარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება ნაღდი/უნაღდო.

8. ფასები

1. ფასები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის მიხედვით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. დავების გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე.

3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
ს.ს. „აკურა“ ქ. თელავი, სოფ. აკურა ს/ნ 231165583 ბანკი ს.ს. „ქართუ ბანკი“ ბანკის კოდი **CRTUGE22** ანგ.№ **GE54CR0160000900033406** დირექტორი: JSC AKURA Digitally signed by JSC AKURA Date: 2019.09.15 13:15:28 +04'00' ---------- / პაატა ჭავჭანიძე /	შ.პ.ს. “ტემპი +” გურჯაანი, სოფ. ვაჩნაძიანი ს/ნ 227748881 ბანკი ს.ს. „ქართუ ბანკი“ ბანკის კოდი **CRTUGE22** ანგ.№: **GE18CR0110000000023606** დირექტორი: Vazha Kuchukashvili Digitally signed by Vazha Kuchukashvili Date: 2019.09.15 18:09:26 +04'00' ---------- /ვაჟა ქუჩუკაშვილი/